პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ამბერკი ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ამბერკი ტაბიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:476,605.166
Y:4,620,791.051
X:476,776.842
Y:4,620,615.116
X-:477,119.229
Y:4,620,738.179
ამბერკი ტაბიძის ქ.
X:477,030.157
Y:4,620,647.916
X:476,745.863
Y:4,620,614.565



ამბერკი ტაბიძე

(1952-2017)

ხელბურთელი, თბილისის „ქარიშხალას“ და სსრკ ნაკრების წევრი, სსრკ თასის მფლობელი, სსრკ ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი, მსოფლიო თასის ოთხგზის მფლობელი, VIII სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა 1952 წელს სამტრედიაში. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. იყო მძლეოსანი და სიგრძეზე მხტომელი. 1972 წლიდან გუნდ „ქარიშხალას“ წევრი გახდა. 20 წლის ასაკში უკვე ჩამოყალიბებული ათლეტი იყო. ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებული, ყველა დავალების ზუსტად შემსრულებელი, დისციპლინირებული და რეჟიმის ურყევად დამცველი იყო. პირველივე დიდ ტურნირზე 1975 წლის სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე, საქართველოს ნაკრებმა ამბერკი ტაბიძესთან ერთად ბრინჯოს მედლები მოიპოვა. 1977-84 წლებში სსრკ ნაკრების წევრად ჩაირიცხა. 1978 წელს გახდა სსრკ თასის მფლობელი, იყო სსრკ ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1977, 1980, 1981 წწ), ასევე 1975 წელს სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი გახდა. 1983 წელს VIII სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მიანიჭეს; 1977 წელს გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, იყო სპორტის დამსახურებული მუშაკი, 2012 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება დღემდე.

ბოლომდე არ მიუტოვებია საყვარელი საქმე. მისი ბოლო ვეტერანთა ტურნირი იყო თელავში, 2015 წელს, თამაზ ანთაძის 80 წლისთავზე.

გარდაიცვალა 2017 წელს.

02/961

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ლია ჯახველაძეს

მოქალაქე ვასილ ტაბიძის
(მცხ. ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატო 4 მ/რ, 18 კ. , ბ.50)

განცხადება

მოგახსენებთ, რომ მე გახლავართ გამოჩენილი ქართველი ხელბურთელის, სსრკ-ს და საქართველოს ნაკრების წევრის, სსრკ-ს სპორტის ოსტატის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენოსანი ამბერკი ტაბიძის შვილი. მიმდინარე წელს ბატონი ამბერკი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და იგი დავკრძალეთ სოფელი თხინვალას სასაფლაოზე.

აქედან გამომდინარე, მისი ოჯახის სახელით მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენი ხელმძღვანელობით სახელდების და სიმბოლიკის კომისიამ განიხილოს საკითხი და თბილისში ნუცუბიძის პლატოდან სოფელ თხინვალასკენ მიმავალ უსახელო გზას, რომელზეც მდებარეობს სოფელ თხინვალას სასაფლაოც, მიენიჭოს ამბერკი ტაბიძის სახელი.

თუ აღნიშნული ქუჩისათვის, რაიმე მიზეზის გამო, ვერ მოხერხდება ამბერკი ტაბიძის სახელის დარქმევა, მაშინ გთხოვთ, ნუცუბიძის პლატოზე არსებულ რომელიმე უსახელო ქუჩას მიანიჭოთ მისი სახელი, რადგან იგი ბოლო 30 წლის მანძილზე ამ უბანში ცხოვრობდა და მოსახლეობის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. იგი ნამდვილად იმსახურებს ქალაქისა და ქვეყნის მიერ ამ დაფასებას. წინასწარ დიდი მადლობა გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

პატივისცემით, ვასილ ტაბიძე
ტელ: 557 70 50 70
22.03.2017

ქალაქ თბილისის მერიის საკრებულოს
საკრებულოს აპარატი
№ 3531
"22" მარტი 2017